

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

12.08.2014 წელი

1 ეგზ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

საქვეუწყებო დაწესებულება -

საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის
დეპარტამენტი

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

13/105

2013 წლის 1 იანვარი - 2013 წლის 31 დეკემბერი

ს ა რ ჩ ე ვ ი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	4
პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	5
დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	5
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	5
აუდიტორის პასუხისმგებლობა	6
პირობითი მოსაზრების საფუძველები კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	6
პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	10
მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა	10
2012-2013 წლების საკასო ხარჯების ანლიზი (პროგრამები).....	13
ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები	15



დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი, რომელიც მოიცავს დეპარტამენტის ბალანსს 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. აუდიტი მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიში ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ. აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან



განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ

1. დეპარტამენტის მიერ, აუდიტის პერიოდში გზებზე განთავსებული 106 ცალი 9 164,8 ლარის ღირებულების საგზაო ნიშნები არ არის ასახული ბალანსის საცნობარო მუხლში.

✓ საბუღალტრო მონაცემების მიხედვით, დეპარტამენტის მიერ დამზადებული 331 ცალი (ღირებულება 28 618,54 ლარი) სხვადასხვა ზომის და



ტიპის საგზაო ნიშნებიდან, 9 164,8 ლარის ღირებულების¹ 106 ცალი განთავსებულია ბალანსზე რიცხულ გზებზე. იმ პირობებში, როდესაც დეპარტამენტს სხვა ფასეულობების მოძრაობა ასახული აქვს საცნობარო მუხლში, გზაზე განთავსებული საგზაო ნიშნები არ არის ასახული აღნიშნულ მუხლში.

2. ბალანსზე რიცხული ტრაქტორები, სატვირთო ავტომანქანები და ერთი ერთეული 14 ტონიანი სასწორი ღირებულებითი შეფასებით არ არის აღიგებული საბალანსო მონაცემებში.

დეპარტამენტის 2013 წლის 29 ნოემბრის N95 ბრძანებით შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის მიერ განხორციელებულია ბალანსზე რიცხული და ფაქტობრივად არსებული მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია. კომისიის დასკვნით ადგილზეა 1 ერთეული დტ-75 ტიპის ტრაქტორი, 5 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება და 1 ერთეული 14 ტონა ტვირთამწეობის სასწორი, რომელიც 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ღირებულებითი შეფასებით არ არის აღრიცხული საბალანსო ანგარიშებში.

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ფინანსურ მდგომარეობას 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე დეპარტამენტის საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით.

დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მის სამართლიან წარდგენაზე პასუხისმგებლობის გარდა, რომელიც აღწერილია ზემოთ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება -საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ასევე

¹ 28 618,54/331=86,46*106=9164,8 ლარი.



პასუხისმგებელია, რომ უზრუნველყოს დეპარტამენტის საქმიანობის და ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

გარდა ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმის პასუხისმგებლობისა, რომელიც აღწერილია ზემოთ, აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

1. ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიერ ფაქტობრივად გავლილი მანძილი და მძიმე ტექნიკა/ტრაქტორების მიერ ფაქტობრივად მუშაობის დროის ხანგრძლივობის რეალობა რისკის შემცველია.

საბუღალტრო მონაცემების თანახმად, გზების მოვლა-შენახვისა და რეაბილიტაციის პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობისათვის, დეპარტამენტს 2013 წელს გახარჯული აქვს 336 422 ლიტრი, 634 334 ლარის ღირებულების საწვავი, მათ შორის ბენზინი 23 838 ლიტრი, 45 945,85 ლარის ღირებულების და დიზელის საწვავი 312 584 ლიტრი, 588 388,15 ლარის ღირებულების. საწვავის ხარჯვის მდგომარეობის აუდიტით დადგინდა:

➤ ბალანსზე რიცხულ სატრანსპორტო საშუალებებზე და ტექნიკაზე საწვავის გაცემის, ჩამოწერის, შესრულებული სამუშაოს მოცულობის, გავლილი



მანძილის, მუშაობის ხანგრძლივობის აღრიცხვისა და დადასტურებისათვის დეპარტამენტის მიერ ხდება ავტომობილის საგზაო ფურცლებისა და ტრაქტორის საგზაო ბარათების წარმოება. საწვავის ხარჯვის საფუძველი არის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიერ ფაქტობრივად გავლილი მანძილი, ხოლო მძიმე ტექნიკა/ტრაქტორებზე ფაქტობრივად მუშაობის ხანგრძლივობა/დრო. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ ხშირ შემთხვევებში კამაზისა და მაზის ტიპის სატრანსპორტო საშუალებებზე ნაჩვენებია თვეში 3 290კმ, 3 785 კმ, 4 457კმ, 5 714კმ, 6 785 კმ, 7 428 კმ მანძილის² გავლა, ხოლო მძიმე ტექნიკაზე თვეში 232 სთ, 256 სთ ხანგრძლივობით³ მუშაობა, თუმცა აუდიტის პერიოდში წარმოდგენილ საგზაო ფურცლებში უმეტეს შემთხვევაში არ არის მითითებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ოდომეტრის (სპიდომეტრის) საწყისი და საბოლოო მაჩვენებლები, ხოლო ტრაქტორებზე მექანიზმის ფაქტობრივად მუშაობის დამადასტურებელი მოტო საათები. ხშირ შემთხვევებში საგზაო ფურცლებში და სამუშაოს შესრულების აქტებში არ არის იდენტიფიცირებული შესრულებული სამუშაოს კონკრეტული მანძილი (პიკეტაჟი) და დრო. შესრულებულ და შესასრულებელი სამუშაოების მოცულობებთან და სახეობებთან დაკავშირებით ხშირ შემთხვევაში არ არის შედგენილი დეფექტური და სამუშაოს შესრულების აქტები, სამუშაოს ფაქტობრივ შესრულებასთან დაკავშირებით შედგენილი აქტები ხელმოუწერელი და დაუდასტურებელია მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების მიერ, რასაც ითვალისწინებს დეპარტამენტის მიერ შემუშავებული სამუშაოს შესრულების აქტის ფორმა.

➤ დეპარტამენტის მიერ, სატრანსპორტო საშუალებებისა და მექანიზმების მუშაობასთან დაკავშირებით, საგზაო ფურცლების გამოწერა და გაცემა ხორციელდება თვეში ერთხელ, სადაც მითითებულია სამუშაოს დაწყებისა და დასრულების პერიოდი. იმ პირობებში, როდესაც მუნიციპალიტეტებში დეპარტამენტის წარმომადგენლების, უბნის უფროსებისა და მექანიზატორების მიერ ყოველთვიურად შედგენილია აქტები თვის განმავლობაში ცალკეული მექანიზმებზე ჩატარებულ სარემონტო სამუშაოებთან (სტარტერი, შკორნები, მუხლუხის ბაშმაკები, მუხლუხის თითის, წნევის მილების, მიმართველი საკისრების, სალნიკების, ზვენო, დინამო) დაკავშირებით, რემონტის პერიოდში მოცდენის/გაჩერების დრო უმეტეს

² ს/ფ N17-05/2013წ, მძღოლი ა.აბაშიძე-3290კმ, ს/ფ91-12/2013წ, მძღოლი ზ.დიასამიძე-3785კმ, ს/ფ N53-10/2013წ, მძღოლი რ. მესხიძე-7428 კმ, ს/ფ N52-09/2013წ, მძღოლი რ. მესხიძე 6785კმ და სხვა.

³ ს/ფ N381-12/2013წ, მექანიზატორი თ. თეზიძე-232სთ, ს/ფ N365-12/2013წ, მექანიზატორი ა. ბასილაძე-256 ს/ფ და სხვა.



შემთხვევაში არ არის ასახული საგზაო ბარათებში და აღნიშნული დროით არ არის შემცირებული მექანიზმების მუშაობის დრო⁴.

2. დეპარტამენტის მიერ ბალანსზე რიცხული ტექნიკის შეკეთებისათვის ფაქტობრივად ხარჯების გაწევა და ნარჩენი, გამოსაყენებლად უვარგისი ნაწილების შემდგომი აღიცხვა/განკარგვის მდგომარეობა რისკის შემცველია.

აუდიტის პერიოდში, ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებების სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით, დეპარტამენტის მიერ გაწეულია 116 778.44 ლარის ხარჯი. სათადარიგო ნაწილების შეცვლასთან დაკავშირებით წარმოდგენილია ყოველი თვის ბოლოს შედგენილი აქტები, რომელიც ხელმოწერით დადასტურებულია მუნიციპალიტეტებში დეპარტამენტის წარმომადგენლების და მექანიზატორების მიერ. ჩასატარებელ სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით არ არის შედგენილი დეფექტური აქტები, ცალკეულ ტექნიკაზე ნაწილების დაყენებასთან დაკავშირებით შედგენილ აქტებში არ არის მითითებული კონკრეტულად როდის მოხდა დაყენება/შეცვლა და ვის მიერ. გარდა აღნიშნულისა, წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით ვერ ხდება იდენტიფიცირება მექანიზმების მწყობრიდან გამოსვლასთან დაკავშირებით. იმ პირობებში, როდესაც წარმოდგენილი აქტებით ტექნიკაზე შეცვლილია⁵ სხვადასხვა სახის ნაწილები, ტექნიკის საგზაო ბარათებში არ არის ასახული დროის მონაკვეთი, როდესაც დაზიანების გამო არ ხდებოდა მექანიზმების/სატრანსპორტო საშუალებების მუშაობა. სულ ჩატარებული სარემონტო სამუშაოებიდან შეცვლილია მინიმუმ 64 939 ლარის ღირებულების, ახალი მეტალის შემცველი ნაწილები, მაგრამ გამოცვლილი და გამოსაყენებლად უვარგისი ნაწილები არ არის აღიცხული, შესაბამისად არ არის აღრიცხული ინვენტარიზაციის მასალებში⁶ და არ არის გაპიროვნებული მატერიალურად პასუხისმგებელ პირებზე.

⁴საგზაო ფურცელი N100, ა/მ მაზ OFO 364, მძღოლი რევაზ მესხიძე, ნაჩვენებია 1 იანვრიდან 31 იანვრის ჩათვლით უწყვეტად მუშაობა და გავლილია 5571 კმ მანძილი, ხოლო 2013 წლის 31 იანვარს შედგენილია აქტი, რომ აღნიშნულ ასტოსატრანსპორტო საშუალებას ჩაუტარდა წინა და უკანა მუხრუჭების დიაფრაგმებისა და ღვედის შეცვლის სამუშაოები, ანალოგიურად ბელარუსი 82,1 ILA 474, მძღოლი რევაზ მოწყობილი, საგზაო ბარათი N518, უწყვეტად მუშაობდა 1 იანვრიდან 31 იანვრის ჩათვლით სულ 1 555 საათი, გახარჯული აქვს 945 ლიტრი საწვავი, თუმცა 2013 წლის 31 იანვარს შედგენილი აქტით აღნიშნულ ტექნიკაზე ჩატარებულია 3 194 ლარის ღირებულების სარემონტო სამუშაოები, შეცვლილია წნევის მილები, ღვედი, სტუპიცის საკისრები, საბურავები, შლანგები, დანის პირი. ანალოგიურად ს/ფ N173-1-31/07/2013წ და სხვა.

⁵ ზვეწო, საკისრები, პალეცები, მუხლუხები, ძრავის რემკომპლექტები.

⁶ დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისი N 605 ბრძანებით დამტკიცებული "საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების



3. ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების გზების მონაკვეთებზე ბეტონის დაგებასთან დაკავშირებით, სასაქონლო ზედნადებებში 78 კუბ.მ ბეტონის მიწოდებაზე სატრანსპორტო საშუალებების მიუთითებლობის და ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტებიდან 294 კუბ.მ ბეტონის მიწოდებაზე სასაქონლო ზედნადების წარმოდგენლობის პირობებში, მიმწოდებელზე გადახდილია 381 634 ლარი.

დეპარტამენტის მიერ 4 შემთხვევაში⁷ განხორციელებულია სახელმწიფო შესყიდვა და შეძენილია 2 770 კუბ.მ 381 634 ლარის ღირებულების მზა ბეტონი, რომელიც მიმწოდებელმა უნდა მიაწოდოს ქობულეთის მუნიციპალიტეტს 1 390 კუბ.მ - 201 698,8 ლარის ღირებულების და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს 1 380 კუბ.მ - 179 935 ლარის ღირებულების. გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებელმა უნდა მიაწოდოს სასაქონლო ბეტონის (ღორღის) კონსტრუქციული მ-250-ის (ბ-18,5) კლასის ბეტონის ნარევი. ხელშეკრულების 2,4 პუნქტის მიხედვით. ანგარიშსწორება უნდა განხორციელებულიყო მიღება-ჩაბარების აქტისა და სასაქონლო ზედნადებების საფუძველზე.

იმ პირობებში, როდესაც მიმწოდებლის ვალდებულება იყო საქონლის მუნიციპალიტეტისათვის მიწოდება, სასაქონლო ზედნადებების მიხედვით 6 შემთხვევაში 78 კუბ.მ - 9 864 ლარის ღირებულების ბეტონის მიწოდება დაფიქსირებულია ტრანსპორტირების გარეშე⁸, ხოლო 294 კუბ.მ - 37 180 ლარის ღირებულების ბეტონის მიწოდებაზე არ არის წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადები, შესაბამისად არ არის იდენტიფიცირებული გადაზიდვისათვის გამოყენებული სატრანსპორტო საშუალების მარკა, მოდელი და სახელმწიფო ნომერი⁹. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულების 2,4 მუხლის შესაბამისად, ანგარიშსწორება უნდა განხორციელებულიყო მიღება-ჩაბარების აქტისა და სასაქონლო ზედნადების საფუძველზე, თუმცა დეპარტამენტის მიერ თანხის გადახდა განხორციელდა ხელშეკრულების პირობების დარღვევით, სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის გარეშე.

ინვენტარიზაციის ჩატარების წესის” მე-8 მუხლის მე-18; მე-19; 21 ნაწილის და მე-10 მუხლის მე-10 ნაწილის ოთხოვნები.

⁷ შპს „როდა“-სულ 1 380კმ, 179 935 ლარი. (SPA -130009999, ხელშ, N83, 29/05/2013წ 930კმ-117 610 ლარი. SPA 130019226, ხელშ, N177, 01/10/2013წ 450კმ-62 325 ლარი). შპს „ბალავარი-2010“ სულ 1 390კმ- 201 700 ლარი (SPA 130010000, ხელშ, N84, 29/05/2013წ 930კმ- 135 000ლარი, SPA 130019224, ხელშ N180, 02/10/2013წ.460კმ-66 700 ლარი.)

⁸ შპს როდა“-სგან 6 შემთხვევაში 78კმ-9864,067 ლარი.

⁹ ს/ზ N-0032199809; N-0031909544; N-0032596042; N0032595944-სულ 25კმ და სხვა.



ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი მასალების მიხედვით, დაგეგმვის ეტაპზე შესასყიდი ბეტონის საჭიროებასთან დაკავშირებით, არ არის შედგენილი ხარჯთაღრიცხვა და პროექტი, გაურკვეველია გზის რომელ მონაკვეთზე და რა ოდენობით უნდა განხორციელდეს ბეტონის სამუშაოები, დაუდგენელია როგორ განხორციელდა გზების უბნების შერჩევა და ბეტონის დაგება, რა პირობებში და რა ოდენობით.

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გარდა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებები და მექანიზმები პერიოდულად, საჭიროებიდან გამომდინარე, გამოყენებულია სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ შესაბამისი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში, არაერთგვაროვანი მიდგომაა ერთი და იგივე სახის, მარკის სატრანსპორტო საშუალებაზე და მექანიზმზე საწვავის სხვადასხვა ნორმით ჩამოწერასთან დაკავშირებით, რაც შიდა კონტროლის სისუსტეზე მიუთითებს, სახელდობრ:

- ა/მ კამაზ 55 111-ზე - ქედის მუნიციპალიტეტში 100 კმ-ის გავლაზე წვის ნორმად აღებულია 30,95 ლიტრი საწვავი, ხოლო სხვა დანარჩენ მუნიციპალიტეტებში წვის ნორმად 100 კმ-ის გავლაზე აღებულია 34/40 ლიტრი საწვავი¹⁰.
- ბელარუსი მტვ 82.1 - ქედის მუნიციპალიტეტში 1მტ/სთ-ის მუშაობისათვის ჩამოწერილია 6,8 ლიტრი საწვავი, მაშინ როდესაც სხვა დანარჩენი მუნიციპალიტეტების მიერ წვის ნორმად აღებულია 6,1 ლიტრი საწვავი¹¹.

10 მინიმალური წვის ნორმის 30,95 ლიტრის გათვალისწინებით სხვაობა შეადგენს შუახევის მუნიციპალიტეტში 3396,6 ლიტრს, ხულოს მუნიციპალიტეტში 2607,64 ლიტრს, ქობულეთის მუნიციპალიტეტში 770 ლიტრს და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში 402,8 ლიტრს. (დიზელის საწვავი).

11 აღნიშნულის გათვალისწინებით სხვაობა შეადგენს 488,35 ლიტრს (დიზელის საწვავი).



✓ დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების, მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ინვენტარიზაციის 2013 წლის 29 ნოემბრის აქტის (დანართი N7) მიხედვით, დეპარტამენტის სარგებლობაში არსებულ 83 ერთეულ მძიმე ტექნიკას (ტრაქტორები, ბულდოზერები, სატვირთო ავტომანქანები) არა აქვს მითითებული ექსპლუატაციაში შესვლის წელი, ღირებულება, მიღების თარიღი და ვისზეა გაპიროვნებული.

✓ საბუღალტრო მონაცემების მიხედვით, საგზაო ნიშნების დამზადებისათვის აუდიტის პერიოდში დეპარტამენტს სხვადასხვა მიმწოდებლიდან შეძენილი აქვს 16 850 ლარის ღირებულების სხვადასხვა მასალები.¹² ნაშთად არსებული მასალების (174 955,2 ლარი) ჩათვლით, დამზადებულია 331 ცალი სხვადასხვა ზომის და ტიპის საგზაო ნიშანი და გახარჯულია 28 618,54 ლარის ღირებულების (ერთი საგზაო ნიშნის ღირებულება შეადგენს 86,46 ლარს) მასალები. დამზადებული საგზაო ნიშნებიდან 106 ცალი განთავსებულია დეპარტამენტის ბალანსზე რიცხულ გზებზე და წარმოდგენილია აქტები, თუმცა აქტებში არ არის იდენტიფიცირებული გზის რომელ მონაკვეთზეა (პიკეტაჟზე) განლაგებული. საგზაო ნიშნების დამზადებასთან დაკავშირებით, აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი ხარჯთაღრიცხვები.

ბიუჯეტის შედგენა - შესრულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით დეპარტამენტის დაფინანსება განისაზღვრა 15 611 300 ლარით, მათ შორის აპარატის ხარჯებისათვის 967 500 ლარი და საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციის და მოვლა-შენახვის ღონისძიებებისათვის 14 643 800 ლარი. გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 15 424 464 ლარს, მათ შორის აპარატის ხარჯები 931 319 ლარს და საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციის და მოვლა-შენახვის ღონისძიებების ხარჯები 14 493 145 ლარს.

აპარატის ხარჯებისათვის ასიგნებების განაწილება და შესრულება მოცემულია ცხრილის სახით:

ხარჯების ჩამინათვალი	დამტკიცებული ბიუჯეტი . 01.01. 2013 წ	დაზუსტებული ბიუჯეტი 2013 წელი	საკასო ხარჯი	სხვაობა დაზუსტებულსა და საკასოს შორის
2.1. შრომის ანაზღაურება	847500.0	847500.0	847482.0	18.0

¹² ალუკობონდი, შუქამრეკლი არაკალი, საღებავები, რკინის ზოლოვანები, ბურღები, ფრეზები, ლითონის მიღები და სხვა



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის ანგარიში

2.1.1. ხელფასი	847500.0	847500.0	847482.0	18.0
2.2. საქონელი და მომსახურება	110000.0	113553.0	77714.0	35839.0
2.2.1. შტ. მომ. ანაზღაურება	4500.0	3400.0	3329.0	71.0
2.2.2. მივლინება	3000.0	3000.0	1843.0	1157.0
2.2.3. ოფისის ხარჯები	30500.0	47153.0	24597.0	22556.0
2.2.8. ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა შენახვა	55000.0	43000.0	32585.0	10415.0
2.2.10. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	17000.0	17000.0	15360.0	1640.0
31. არაფინანსური აქტივები	10000.0	6447.0	6123.0	324.0
სულ	967500.0	967500.0	931319.0	36181.0

საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციის და მოვლა-შენახვის ღონისძიებებისათვის ასიგნებების განაწილება და შესრულება მოცემულია ცხრილის სახით:

ღონისძიება	დამტკიცებული ბიუჯეტი	დაზუსტებული ბიუჯეტი	საკასო ხარჯი	სხვაობა დაზუსტებულსა და დამტკიცებულ ბიუჯეტს შორის		სხვაობა საკასო ხარჯებსა და დაზუსტებულ ბიუჯეტს შორის
				კლება	ზრდა	
გზების რეაბილიტაცია (ასფალტობეტონის საფარის მოწყობა)	6,905,600	7,430,600	7,430,450	0	525,000	150
ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია	1,555,400	1,802,400	1,772,653	-13,248	260,248	29,747
სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია	379,000	234,700	234,364	-144,300	0	336
საავტ. გზების და სამელიორაციო სისტემების მოვლა-შენახვა	8,748,200	3,425,100	3,304,678	-5,386,889	63,789	120,422
საგზაო ტექნიკის შეძენა	2,000,000	1,751,000	1,751,000	-249,000		0
სულ:	19,588,200	14,643,800	14,493,145	-5,793,437	849,037	150,655



2012-2013 წლების საკასო ხარჯების ანლიზი (პროგრამები)

წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით გზების მოვლა-შენახვა, რეაბილიტაციისათვის 2012 წელს გაწეულია 18 855 130 ლარის საკასო ხარჯი, 2013 წელს ხარჯები შემცირებულია 4 361 985 ლარით და შეადგენს 14 493 145 ლარს. ცალკეული პროგრამების მიხედვით გაწეული ხარჯების ცვლილება წარმოდგენილია ცხრილის სახით.

პროექტის დასახელება	2012წ	2013წ	შედარება	
			ზრდა	კლება
საავტომობილო გზების, სამელიორაციო და ჰიდროტექნიკური ნაგებობების მოვლა-შენახვა	3,486,452	1,444,309		2,042,143
გზის მომვლელების სამსახური	1,249,890	1,315,786	65,896	
საავტომობილო გზების რეაბილიტაცია	10,634,687	7,220,593		3,414,094
ა/ბეტონის საფარის ორმული შეკეთება	119,999	249,427	129,428	
ხიდების რეაბილიტაცია და მშენებლობა	655,845	700,495	44,650	
დამცავი გაბიონების მოწყობა	257,706	298,552	40,846	
საყრდენი კედლების მშენებლობა	337,490	658,951	321,461	
ხის ძეღყორების მოწყობა	74,675			74,675
გაუთვალისწინებელი ხარჯები (სტიქია)	1,227,055	81,043		1,146,012
სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია	209,925	229,744	19,819	
ბურღვა- აფეთქებითი სამუშაოები	159,000	132,990		26,010
მიწების შეძენა	164,281	162,170		2,111
საგზაო ტექნიკის შეძენა		1,751,000	1,751,000	
საპროექტო- სახარჯთადრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა	278,125	248,099		30,026
სულ	18,855,130	14,493,145	2,373,100	6,735,071

✓ დეპარტამენტს აუდიტის პერიოდში შესრულებული აქვს 8 878 591 ლარის ღირებულების საავტომობილო გზებისა და ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოები. შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარება განხორციელებულია დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულის-ტექნიკური განყოფილების მიერ. იმის გათვალისწინებით, რომ კონკრეტული სამუშაოს შესრულებისას მიმწოდებელი და დამკვეთი ურთიერთდამოკიდებული პირები არიან, მესამე მხარის მიერ არ არის დადასტურებული შესასრულებელი და



შესრულებული სამუშაოების შესაბამისობები, რაც შემსყიდველისათვის იქნებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების დამატებითი კონტროლის საშუალება.


შესრულებული სამუშაოების სახეობა წარმოდგენილია ცხრილის სახით.

დასახელება	ღირებულება
საავტომობილო გზების რეაბილიტაცია	7,220,593
ხიდების რეაბილიტაცია და მშენებლობა	700,495
დამცავი გაბიონების მოწყობა	298,552
საყრდენი კედლების მშენებლობა	658,951
სულ	8,878,591

ნადიმ ბოლქვაძე
/უფროსი აუდიტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი/

ჰენრი სანიკიძე
/აუდიტორი/

01/08/ 2014 წელი.



საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფორმა N 1

**ორგანიზაციის
ბალანსი**

ორგანიზაციის დასახელება

აკარის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება
სააგრომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების
მართვის დეპარტამენტის პროგრამები

შენიშვნის ვადა _____ კოდი 182

ჩამოსხმა _____
(ხელმოწერა)

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

ზომის ერთეული: ლარი

2013 წლის IV კვარტალი



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის ანგარიში

კოდი	აქტივები	ანგარიშის ჩანაწერი	ნაშთი წლის თანამართლობისათვის	ნაშთი წლის (კვარტალის) შეშლისათვის
1	2	3	4	5
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
110	წაღდი ფული საღაროში ეროვნულ ვალუტაში	1110		
120	წაღდი ფული საღაროში უცხოურ ვალუტაში	1120		
130	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210		
140	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1220		
150	სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	1230		
160	სხვა ანგარიშები ბანკში	1240		
170	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250		
180	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		
190	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		
200	ხაზინის საგადასახადო ანგარიში	1280		
210	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290		
220	ფასიანი ქაღალდები გარდა აქციებისა	1310		
230	მოკლევადიანი სესხები	1320		
240	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		
250	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
260	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		
270	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		
280	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		
290	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354		
300	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მოთხოვნების მიწოდებით	1355		
310	გადახდილი დღგ	1356		
320	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357		
330	სხვა საგადასახადო აქტივი	1358		
340	მოთხოვნები ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების დანაკლისებით	1359		
350	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		
360	მოთხოვნები ბარტერიით	1410		
370	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		
380	მოთხოვნები წინასწარი გადახდებით	1430		
390	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440		
400	ანგარიშგაღებული პირების მიმართ მოთხოვნები	1450	55751	44441
410	მოთხოვნების მიმართ მოთხოვნები	1460		
420	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470		
430	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480		
440	გრძელვადიანი სესხები	1510		
450	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1520		
460	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1530		
II. არაფინანსური აქტივები				
370	სტრატეგიული მარაგები	1610		
380	სხვა მატერიალური მარაგები	1620	529705	486004
390	შენობა-ნაგებობები	2110	49103284	56808792
400	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	1658191	3380001
410	სხვა მძიმე აღნაგობები	2130		
420	დაუმთავრებელი შენობა-ნაგებობები	2140		
430	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200		
440	ფასეულობები	2300		
450	არაწარმოებული აქტივები	2400		
ბალანსი			51346931	60719238



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის ანგარიში

კოდი	ვალდებულებები და კაპიტალი	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	ნაშთი წლის (ცვარტალის) ბოლოს
I. ვალდებულებები				
460	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100		
470	მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210		
480	აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220		6142
490	ვალდებულებები ბარტყრით	3230		
500	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241		
510	გადასახდელი დღგ	3242		
520	გადასახდელი სამუშაოსათვის გადასახადი	3243		
530	სხვა გადასახდელები	3244		
540	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით	3245		
550	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	3246		
560	მტკატი მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251		
570	მტკატარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3252		
580	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253		
590	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254		
600	დამტკარავების მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3255		
610	დამტკარავების მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3256		
620	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით	3257		
630	გადასახდელი სტიპენდიები	3258		
640	სოციალური დაზღვევის ანარიცხები	3259		
650	ვალდებულებები დემონეტების მიმართ	3260		
660	სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3270		
670	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3280		
680	გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	3300		
II. კაპიტალი				
690	წმინდა ღირებულება	5100	51346931	60713096
700	საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი	5210		
710	გაუნაწილებელი მოგება	5220		
720	დაუფარავი ზარალი	5230		
ბალანსი			51346931	60719238
III. საცნობარო მუხლები				
730	საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული დანახარჯები	01		0
740	პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	02		0
750	გადახდის უუნარო დებიტორებზე ჩამოწერილი დავალიანება	03		
760	ზარეზში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	04		
770	პირობითი მოთხოვნები	05		
780	პირობითი ვალდებულებები	06		
790	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07		
800	ამორტიზირებული ძირითადი აქტივები	08	4827611	5476781
810	ვადგადაცილებული დავალიანებები	09		
820	ექსპლუატაციაში მყოფი ზარეზში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები		1500	1500

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

ს.ა.





აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის ანგარიში

ბალანსის დანართი ფორმა N2

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

ორგანიზაციის დასახელება: საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა

კოდი 182

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

2013 წლის IV კვარტალი

ზომის ერთეული: ლარი

სტრ. კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	დასტურებული გეგმა	ფაქტობრივი გეგმა	დადგენილება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახდა ფაქტობრივი ხარჯის გადახდის ზომის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
010	1. ხარჯები	2	3423800	3423800	3303377	3303377	3303377	5617355	2313978
020	1.1 შრომის ანაზღაურება	21	0	0	0	0	0	0	0
030	1.1.1 ხელფასები	211	0	0	0	0	0	0	0
040	1.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	2111	0	0	0	0	0	0	0
050	1.1.1.1.1 თანამდებობრივი ხარჯი	21111							0
060	1.1.1.1.2 წოდებრივი ხარჯი	21112							0
070	1.1.1.1.3 პრემია	21113							0
080	1.1.1.1.4 დანაშატი	21114							0
090	1.1.1.1.5 პენსია	21115							0
100	1.1.1.1.6 კომპენსაცია	21116							0
110	1.1.1.2 ხელფასები სასაქონლო ფორმით	2112							0
120	1.1.2 სოციალური შენატანები	212	0	0	0	0	0	0	0
130	1.1.2.1 ფაქტობრივად გამოიყენებული სოციალური შენატანები	2121							0
140	1.1.2.2 პირისთვის გამოიყენებული სოციალური შენატანები	2122							0
150	1.2 საჭიშლელი და მომსახურება	22	3423800	3423800	3303377	3303377	3303377	3353637	50260
160	1.2.1 შეტანაზე მომუშავეთა ანაზღაურება	221							0
170	1.2.1.2 მიწისფლები	222							0
180	1.2.1.3 ოფისის ხარჯები	223							0
190	1.2.1.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	224							0
200	1.2.1.5 კვების ხარჯები	225							0

210	1.2.1.6 სამუდგომი ხარჯები	226							0
220	1.2.1.7 რბილი ინვენტარის და უნიფორმის შეძენის და პირადი საფარიშველი დასაცმელი ხარჯები	227							0
230	1.2.1.8 ტრანსპორტი, ტექნიკა და იარაღის შეძენის და მიწის შენატანის ხარჯი	228							0
240	1.2.1.9 სამუდგომი ტექნიკის და ტექნიკური საშუალებების ხარჯები	229							0
250	1.2.1.10 სხვა ფინანსური საჭიშლელი და მომსახურება	2210	3423800	3423800	3303377	3303377	3303377	3 353 637	50260
260	1.3 მართვადი კაპიტალის მოხმარება	23						2263718	2263718
270	1.4 პროცენტი	24	0	0	0	0	0	0	0
280	1.4.1 საგარეო ვალდებულებებზე	241	0	0	0	0	0	0	0
290	1.4.1.1 ორმოცოვ კრედიტორებზე	2411							0
300	1.4.1.2 მრავალწლიანი კრედიტორებზე	2412							0
310	1.4.1.3 კომერციული ორგანიზაციებზე	2413							0
320	1.4.1.4 სხვა საგარეო ვალდებულებებზე	2414							0
330	1.4.2 საშინაო ვალდებულებებზე გარდა სახელმწიფო კრედიტორებისა	242							0
340	1.4.3 სახელმწიფო კრედიტორებისა და ადგილობრივი სამთავროებისა	243							0
350	1.5 ხელმოციფი	25							0
360	1.6 გრანტები	26	0	0	0	0	0	0	0
370	1.6.1 გრანტები უცხო სახელმწიფოთა მთავრობების	261	0	0	0	0	0	0	0
380	1.6.1.1 მიმდინარე	2611							0
390	1.6.1.2 კაპიტალური	2612							0
400	1.6.2 გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციების	262	0	0	0	0	0	0	0
410	1.6.2.1 მიმდინარე	2621							0
420	1.6.2.2 კაპიტალური	2622							0
430	1.6.3 გრანტები სხვა დონის სახელმწიფო კრედიტორების	263	0	0	0	0	0	0	0
440	1.6.3.1 მიმდინარე	2631							0
450	1.6.3.2 კაპიტალური	2632							0
460	1.7 სოციალური უზრუნველყოფა	27	0	0	0	0	0	0	0
470	1.7.1 სოციალური დაზღვევა	271	0	0	0	0	0	0	0
480	1.7.1.1 ფულადი ფორმით	2711							0
490	1.7.1.2 სასაქონლო ფორმით	2712							0
500	1.7.2 სოციალური დახმარება	272	0	0	0	0	0	0	0



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის ანგარიში

510	1.7.2.1 ფულადი ფორმით	2721							0
520	1.7.2.2 სასაქონლო ფორმით	2722							0
530	1.7.3 დამატარებლის მიერ გწეული სოციალური დახმარება	273	0	0	0	0	0	0	0
540	1.7.3.1 ფულადი ფორმით	2731							0
550	1.7.3.2 სასაქონლო ფორმით	2732							0
560	1.8 სხვა ხარჯები	28	0	0	0	0	0	0	0
570	1.8.1 ქონებისა და დაცემორჩენილი ხარჯები, გარდა პროცენტისა	281	0	0	0	0	0	0	0
580	1.8.1.1 დივიდენდები	2811							0
590	1.8.1.2 გარი-კომპირაციების შემოსავლიდან აბოღებული თანხები	2812							0
600	1.8.1.3 ქონებისა და დაცემორჩენილი ხარჯები, რომლებიც სადაზღვეო პოლისის მფლობელებზე ვრდებოდნენ	2813							0
610	1.8.1.4 რენტა	2814							0
620	1.8.2 სხვადასხვა ხარჯები	282	0	0	0	0	0	0	0
630	1.8.2.1 მიმდინარე	2821							0
640	1.8.2.2 კაპიტალური	2822							0

მონაცემები შტაბით და შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობის შესახებ

მაჩვენებელი და სახელწოდება	საშუალო რიცხვით		არსებითი	
	წლიური	გეგმი	წლიური	გეგმი
1. შტაბით მომუშავეთა რიცხოვნობა				
2. შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	383	383		

- ფაქტურად დასაქმებული პირთა რიცხოვნობა გაანგარიშებულია საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თვეების მიხედვით დასაქმებულ პირთა საშუალო რიცხოვნობით (საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაღწეული თვის მიხედვით) გაანგარიშებული დასაქმებულ პირთა საშუალო რიცხოვნობის რაოდენობის კუთხით უნდა გათვალისწინდეს საანგარიშო პერიოდის თვეების რაოდენობაზე).

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

ბ.ა.



ბალანსის დანართი ფორმა N2-1

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება: საავტონომილო გზების დეპარტამენტის ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა

კოდი 182

პერიოდები: წლიური, კვარტალური

2013 წლის IV კვარტალი

ზომის ერთეული: ლარი


სტრ. კოდი	არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	კოდი	დამატებითი კოდი	დამატებითი კოდი	დასაწყისი	დასასრული	მთავარი	გამოტანილი (საკასო ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7	8	9
010	1. არაფინანსური აქტივები	31	11220000	11220000	11189766	11189766	11189766	11189766
020	1.1 ძირითადი აქტივები	311	11220000	11220000	11189766	11189766	11189766	11189766
030	1.1.1 შენობა-ნაგებობები	3111	9467700	9467700	9437466	9437466	9437466	9437466
040	1.1.1.1 საცხოვრებელი შენობები	31111						
050	1.1.1.2 არსაცხოვრებელი შენობები	31112						
060	1.1.1.3 სხვა ნაგებობები	31113	9467700	9467700	9437466	9437466	9437466	9437466
070	1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	3112	1752300	1752300	1752300	1752300	1752300	1752300
080	1.1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	31121	1751000	1751000	1751000	1751000	1751000	1751000
090	1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	31122	1300	1300	1300	1300	1300	1300
100	1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები	3113	0	0	0	0	0	0
110	1.1.3.1 კულტურული აქტივები	31131						
120	1.1.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	31132						
130	1.1.3.2.1 ლიცენზიები	311321						
140	1.1.3.2.2 სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები	311322						
170	1.2 მატერიალური მარაგები	312	0	0	0	0	0	0
180	1.2.1 სტრატეგიული მარაგები	3121						
190	1.2.2 სხვა მატერიალური მარაგები	3122	0	0	0	0	0	0
200	1.2.2.1 ნედლეული და მასალები	31221						
210	1.2.2.2 დამზადებული ნაწარმი	31222						
220	1.2.2.3 მზა პროდუქტი	31223						
230	1.2.2.4 შემავალი რეალიზაციისათვის შეზღუდული საჭიროება	31224						
270	1.3 ფასილობები	313						
310	1.4 არაფინანსური აქტივები	314	0	0	0	0	0	0
320	1.4.1 მიწა	3141						
330	1.4.2 წიფისფული	3142						
340	1.4.3 სხვა ფინანსური აქტივები	3143						
350	1.4.3.1 რეალიზაციისათვის საჭიროების ლიცენზია	31431						
360	1.4.3.2 სხვა დანართი ფინანსური აქტივები	31432						
370	1.4.4 არაფინანსური არამატერიალური აქტივები	3144						

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:


ბ.ა.





சென்னை மாநகராட்சி

D.S.20 | გზეუბი



რეზიუმის ხელმოწერა: 9/1/22

მთავარი ხელდებნი: _____

ბ.ა.



